ყოველდღიური გაზეთი    ფასი 5 კაპ.    შაბათი 6 თებერვალი 1916 წ.    № 28

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელთნაწერები წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი. რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი [illegible] ... დამატებანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

ყოველდღიური გაზეთი **საქართველო** ყოველდღიური გაზეთი

**ფასი:** ყოველ-კვირეულ ხურდამდე დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზე: პირველ იანვარამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზე: 1 იანვარამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი" გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების სურათებით. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა, „ჩვენი მრავალი" წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკური საკითხებზე. 3) საქართველოს რუსულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეულ კრებ. ღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კეიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში". თბილისში: [illegible] „Новая Рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში [illegible] სახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და [illegible]. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. [illegible]. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჩქადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

ექიმი-დანტისტი
**გ. ა. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. [illegible] ოლღას ქუჩა № 67 [illegible] ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

შეშის საწყობი
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. [illegible]
ყველასთვის ხელმისაწვდომი ფასში
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც (103—წ.)

პირველი წელი    პირველი წელი
„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამთვეში ერთხელ გამოვა
**კაზმული და სამხატვრო კრებული**
**„მერანი"**
კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმმა
**მამულაიშვილმა**
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**სახალხო სახლი** (ქ. ზუბალაშვილის სახელობისა)
ორშაბათს 8 თებერვალს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია
**ოიდიპოს მეფე**
თარგმანი კ. ანდრონისა.
მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ. გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ.,
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
მორიგი წევრი გამგეობისა: ი. გედევანიშვილი
ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე".
შემდეგი წარმოდგენა მადამ სან-ჟენ (4—48—1)

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**კვირას, 14 თებერვალს**
სახაზინო თეატრში
იმართება
**შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა**
(—უ.—)

კვირას, 7 იანვარს, დილის 12 საათზედ, „ახალი კლუბის" დარბაზში დანიშნულია
მომხმარებელი საზოგადოება
**„მ ე უ რ ნ ე ს"**
საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება
ამ კრებაზე არჩეულ უნდა იქმნეს საზოგადოების გამგეობა და განხილული, ზოგიერთი წვრილმანი კითხვები. (1—50 [illegible])

**მისი იმპერატორების დიდებულების ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ტფილისის საწყობის კომიტეტი,**
რომელსაც მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრის მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული თავმჯდომარეობს, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი დიდებულების საწყობი გადავიდა გრიბოედოვის ქუჩიდან, გოლოვინის პროსპექტზე, სახ. № 8.
საწყობი ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას ფულით, მასალებით, საცვლებით, სათბილობლებით, მედიკამენტებით, ჭრილობების შესახვევ მასალებით და სანოვაგით (ჩაი, შაქარი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო და სხ).
ვისაც ჰსურს უფასოდ მუშაობა საცვლებისა და სხვა საგნების დასამზადებლად, უნდა გამოცხადდეს საწყობში დღისით, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 11 ს.-დან 6 საათამდე.
ამავე დროს მიიღება შემოწირულებანი ფულითა და ნივთებით და აძლევენ მასალას შინ სამუშაოდ.
თანხისა და საქონლის რაოდენობის სიმცირისა ნურავის მოერიდება. ყოველი შემოწირულება ულრმესის მადლობით მიიღება.
საწყობის ტელეფონი. № 18—85.

ისადილეთ გემრიელად!
ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრ
**„ოსტერია"**
უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით
სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს ევროპიულ და კავკასიურ
**სადილ ვახშმებს**
მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული
საუცხოვოდ და სუფთად მორთული კაბინეტები
**ბილიარდები, ნარდი**
პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე / ვ. ა. თოფურიძე
(წ.—35—8)
ივახშმეთ გემრიელად!

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

4 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. დვინაზე იაკობშტადტისა და დვინსკის შუა გერმანელებმა ძლიერი სროლა აუტეხეს სად. ნიცგალს და სად. ლავრენსკის ნაწილს, სადგ. ცარგრადს. დვინსკის ნაწილზე გერმანელებმა ხელახლად იერიში მოიტანეს სოფ. გორბუნოვკაზე. გერმანელთა წინა ბანაკებში რუსის მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. გალიციაში, დნესტრზე, სად. მიხალჩეს რაიონში, რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიში.

შავი ზღვა. ზღვის ნაპირებზე რუსთა მიერ ვიცეს პოზიციების აღების დროს, რუსის გემები მივიდნენ ნაპირებამდე და სროლა აუტეხეს ოსმალთ. გემებზე რამდენიმე დაიჭრა თოფის ტყვიით.

კავკასიის ასპარეზი. დამატებითი ცნობების თანახმად გამოირკვა, რომ აზრუმზე იერიშის დროს პირველ ხაზის სიმაგრეებიდან კიდევ 29 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში, მარტო ერთ ჩრდილოეთ ფრონტიდან აზრუმიდან 20 ვერსზე (ტაფტიდან) წამოიყვანეს ტყვედ 39 აფიცერი და 1413 ასკერი. რუსის ჯარები აზრუმის ციხეში შევიდნენ. ახლა არკვევენ მათს ვინაობას. აზრუმი ბევრს ადგილას იწვის.

**პარიჟი,** 3 თებერვალი. მთელის ღამის განმავლობაში აღსანიშნავი არა მომხდარა რა. შამპანში ბრძოლით დავიბრუნეთ ზოგიერთი დაკარგული თხრილი.

**რომი,** 3 თებერვალი. იზონცოს ზემოდ სასტიკი საარტილერიო სროლაა. შარზლისა და ვოდილის სექტორებში დავანგრიეთ მტრის თხრილები. მტრის ჰაეროპლანებს სხვა და სხვა ქალაქში გათარეშების დროს დიდი ზარალი არ მოუყენებიათ. ერთგან ჩვენმა მფრინავმა იფრინა მათი ჰაეროპლანი.

**კორფუ,** 3 თებერვალი. ავსტრიელ[illegible] წყალქვეშა დაიღუპა ფრანგთა ნალ[illegible]სნების მიერ. მთელის კვირის განმავლობაში მათი წყალქვეშა ნავები ენერგიულად მოქმედებდნენ, თუმცა ვერაფერი გააწყეს და სერბელ ჯართა გადაყვანას ვერ შეუშალეს ხელი. ამბობენ, ამ თარეშობის დროს ზოგიერთა მათი წყალქვეშა კიდეც დაიღუპაო.

**სოლუნი,** 4 თებერვალი. გამოირკვა, რომ მონასტირის რაიონში მტრის ძალა არ აღემატება ათიათას კაცს, აქედან სამი ათასი გერმანელია, დანარჩენი ბულგარები.

**ათინა,** 3 თებერვალი. მცირე აზიაში საშინელი სიღატაკეა. ხორბალი არ იშოვება. მცხოვრებნი ცერცვსა ჰფქვავენ და იმით იკვებებიან. რაც რამე იყო სულ გერმანელებმა წაიღესო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუშჩუკის გამაგრება.**

რუშჩუკს გერმანელები ამაგრებენ. მთელი ქალაქი გერმანელ ოფიცერთა ხელშია. დუნაის ნაპირებზე სასწრაფოდ აგებენ სიმაგრეებს.

**უცხოეთის პრესა აზრუმის შესახებ.**

„Daily grap." ამბობს, რუსთა გამარჯვება კავკასიის ფრონტზე ფრიად საგულისხმიერო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ოსმალთა ჯარი განადგურებულია, მან აზრუმის ციხეს შეაფარა თავი"...

„Petit Journal"-ი ამბობს: აზრუმი მთელი მცირე აზიის კარია. „მისი აღება დიდ მოვლენას იქონიებს ომის შემდეგს მსვლელობაზე". შემდეგ გაზეთი დასძენს: „რუსთა ასეთი გამარჯვება ფრიად აამაღლებს სალონიკში მომქმედ მოკავშირეთა ჯარების სულსაო".

ავსტრიელთა Neue Freie Presse" სწერს: „კავკასიაში რუსთა გამარჯვებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. არც მესოპოტამიიდან, არც ეგვიპტიდან ოსმალთა ჯარებს ვერ გაიტყუებენ. რუსთა სამხედრო წრეებს მეტად შემცდარი წარმოდგენა აქვთ ოსმალთა სამხედრო რესურსებზე. მათ ამ ჟამად $2\frac{1}{2}$ მილიონი ხიშტი და ხმალი აქვთო".

**გერმანელთა ახალი ჰაეროპლანები „ფოკერები".**

ინგლისური გაზეთი „Times-ი და ჟურნალი „Aeronauticus"-ი სწერენ: გერმანელთა ახალ ჰაეროპლანებს, სახელად „ფოკერები" დაარქვეს. „ფოკერები" გაუმჯობესებული ჰაეროპლანებია. აქვთ ძლიერი მოტორები, 150—160 ცხენის ძალა, საათში 150 ვერსს დაჰფრინავენო. სიმტკიცე მეტი აქვთ ამ ჰაეროპლანებს. მეტად სწრაფად ადიან მაღლა და სწრაფადვე ე შვებიან. შეიარაღებულნი არიან ტყვიისმფრქვეველით, რომელიც ისეთ რიგადაა მოწყობილი, რომ ყოველ მხარეზე მიუტრიალებლივ შეუძლიან მოიხმაროს სასროლად. საზოგადოდ ინგლისელები ამ ჰაეროპლანებს დიდად აქებენ და ამბობენ, მაზე უმჯობესი მებრძოლ სახელმწიფოებს არავის მოეპოვებაო.

**ვილჰელმის დაბადების დღეს.**

საფრანგეთის გამაგრებულ ქალაქს ნანსის იანვრის რიცხვებში გერმანელებმა მძიმე ზარბაზნებიდან დაუშინეს. ჰაეროპლანებმა ზემოდან ყუმბარები ჩამოჰყარეს. ლამაზ და კოპწია ნაწილის მშვენიერი შენობანი ფრიად დააზარალეს. ამავე დროს მაღლიდან პროკლამაციები ჩამოჰყარეს, მცხოვრებთ აუწყებდენ: „გილოცავთ, დღეს კაიზერის დაბადების დღეაო"!

**ბრძოლა ბავშვების პროსტიტუციასთან.**

რუსთა ქალაქების კავშირმა მორიგ საკითხად დააყენა ფართო ორგანიზაციის მოწყობა ბავშვების პროსტიტუციასთან საბრძოლველად, გამოქცეულთა შორის. მოვლენა იგი ფრიად დამაფიქრებელია სახელმწიფოსთვის, რადგანაც იგი უკიდურესობამდის მიდის. დღემდე ამ მოვლენას კერძო დაწესებულებანი ებრძოდნენ, მაგრამ არა გამოდიოდარა. ახლა რადიკალ ზომებს მიჰმართეს. თვით ქალაქებმა უნდა იზრუნონ და მთელი ორგანიზაცია მოაწყონ, რათა როგორმე უშველონ ამ უკულმართ მოვლენასაო.

**გუნარისი და ვენიზელოსი**

„Voss. Zeit." სტამბოლიდან იუწყება, საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გუნარისმა განსაკუთრებული უფლება მიიღო ვენიზელოს და მის პარტიასთან საბრძოლველად. მას უფლება აქვს მთელს საბერძნეთში საალყო წესები გამოაცხადოს და ჟურნალ-გაზეთობა დაუქვემდებაროს წინასწარ სამხედრო ცენზურას. პროვინციათა გამგებლობაც სამხედროთა ხელში გადავაო. მინისტრის ასეთი განზრახულებანი დიდად მოიწონა მეფემ.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

„Dailu Maily" ასწერს საბერძნეთის უკანასკნელს მდგომარეობას. ბერძნები აღშფოთებული არიან ფრანგთა ჯარების კორფუზე გადმოსვლითა. ყველგან დარაჯები ჰყავთ დაყენებული, რათა ყოველგვარი მოულოდნელი უბედურებაზე დაუყოვნებლივ ახმაურდნენ. მეფე გასაჭირშია ჩავარდნილი, არ იცის, რა გზას დაადგეს. უნებურად უხდება ნეიტრალობის დარღვევა.

### ცეპელინები დვინსკთან.

დვინსკთან ცეპელინებმა მოუხშირეს თარეში. გერმანელებს ორი აპარატი მოუმატებიათ რუსეთის საზღვარზე და მიტომაც აღარ უჭირდებათ ასე ჩქარ-ჩქარი გამოსვლაო. ცეპელინების თარეშს თან სდევს გერმანელთა იერიშებიც. მაგრამ რუსები თავის მხრით მაგრად უხვდებიან და ხელს უშლიან ოპერაციის გასავითარებლად.

### ენვერფაშას ოპტიმიზმი.

„Echo de Paris"-ის ესპანელი კორესპონდენტი აგვიწერს ოსმალეთის დიქტატორ ენვერფაშასთან საუბარს. მისი აზრები მეტ წილად მაღალ ფარდოვანი ტრაბახია: „მე ფრიად გულდამშვიდებით გავყურებ მომავალს. გერმანელები მალე მორჩებიან ბალკანეთის ოპერაციას და მთავარ ძალებს გადაიყვანენ დასავლეთ ასპარეზზე. რა თქმა უნდა, შედეგიც ფრიად ნაყოფიერი იქნება. რაც შეეხება ოსმალეთს, მისი სამხედრო ძლიერებაც დღითი დღე იზრდება. მალე იქნობამდინ მოვღონიერდებით, რომ სრულიად თამამად ორ მხარეს გავილაშქრებთ ერთსა და იმავე დროს: ეგვიპტისაკენ და ინდოეთისკენ. ინდოეთისკენ გასალაშქრებლად ჩვენთვის საკმარისია ასი ათასი კაცი. თუ ბალკანეთის ოპერაცია ჩვენდა სახეიროდ დამთავრდა, მაშინ 80 პროცენტი ჩვენს სასარგებლოდ უნდა ვიანგარიშოთ, რომ კამპანია მოგებული გვექნება. მაგრამ ოსმალეთი ამით არ გაათავებს საქმეს. იგი დასავლეთ ასპარეზზეც მიიღებს მონაწილეობას. მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ოსმალეთი ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელსაც ყველაზე მეტი ცოცხალი ძალა შეუძლიან გამოიყვანოსო".

### ბალკანეთის ამბები.

მოკავშირეთა მფრინავებმა აღმოაჩინეს, რომ მონასტირში ათიათასი გერმანელია, გევგელის რაიონში 180 ათასი ბულგარელი, სტრუმიცაში რვა ათასი გერმანელი, ერთი დივიზია ბულგარებისა სდგას ქ. სანტრში.

— „Morning Post"-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია მთაშავეთის მდგომარეობის შესახებ: გირვანქა პური 4 მანეთი და 75 კაპ. ღირს, გირვანქა შაქარი 2 მან. გირვანქა ყავა 3 მან. 50 კაპ. ბოთლი რძე 75 კაპ. მთელი გზები და მინდვრები მოფენილია გახრწნილი გვამებით, შიმშილით დახოცილ ქალებითა და ბავშვებით.

— მონასტირში ჯართა დიდი მოძრაობაა. მოქალაქეთა ცხოვრება დიდად გაძნელდა.

### შვეიცარიის განწყობილება.

ორიგინალ განწყობილებაშია შვეიცარია. ფრანგთა და იტალიელთა კანტონები ოთხთა კავშირს ემხრობიან, ხოლო გერმანეთის შვეიცარელები— გერმანელებს. მართალია აქაც ფრანგები და ინგლისელები სცდილობენ გავლენა იქონიონ, მაგრამ მბთმა მეცადინეობამ ჯერ-ჯერობით ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოიღო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ კანტონებშიც კი, სადაც ფრანგებს და ინგლისელებს სიმპატიებს უცხადებენ, რუსეთს ალმაცერად უყურებენ, არ უყვართ იგი, მეტ წილად ამათ უარყოფით მხარეს ეხებიან. „ნოვ. ვრემია" სცდილობს როგორმე ახსნას ეს გარემოება. მიზეზებს ტრადიციულ შიშში ჰპოვებს, ვითომც ძველიდგანვე რუსეთი სცდილობდა მთელი ევროპის დაპყრობასაო. ამასთანავე გაქცეული პოლონელები ცრუ ხმებს ავრცელებდნენ და რუსეთისადმი სიძულვილს სთესდნენ.

### საბერძნეთის ზრახვანი.

მიხაილოვსკი სწერს: საბერძნეთის გულის საიდუმლო ზრახვანი იმ გარემოებითაც მჟღავნდება, რომ იგი თავისს ჯარს შუაგულ საბერძნეთისაკენ გადაიყვანს, როდესაც გერმანელები სალონიკზე გაილაშქრებენ და ამათ თავაზიანად დაუთმობს ბრძოლის ველად საბერძნეთის მიწა-წყალს.

### შუმსკის აზრი.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ამას წინად გერმანელთა მთავარ ბინაკს ესტუმრა, ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა გაზეთებში. ეხლა შუმსკი „ბ. ვ."-ში სწერს: ფერდინანდის ამ დარბაზობას, როგორც ირწმუნებიან, მიზნად ჰქონია იმ საკითხის მოწესრიგება, თუ ბულგარეთის ჯარი როგორ გადაიყვანონ რუსეთისა და საფრანგეთის ასპარეზზე. შუმსკის არ სჯერა ეს ამბავი და ამბობს: ბულგარელებს სალონიკზე გალაშქრებაში თუ შეუძლიან მონაწილეობის მიღება გერმანელ-ავსტრიელებთან ერთად თორემ სხვას ვერას გასწვდებიანო.

### კევეშის ჯარი ტირანთან.

კევეშის 2—3 კორპუსი ტირანს მიუახლოვდა, დურაცოდან. 25 ვერსის მანძილზე.

### სალონიკზე გალაშქრება.

შუმსკის აზრით, ავსტრიელებს კევეშის ჯარიდან მხოლოდ 2—3 დივიზია (60—70 ათასი) შეუძლიანთ გაჰგზავნონ სალონიკზე გასალაშქრებლად.

### გალიციის ასპარეზი.

დასავლეთ გალიციის ასპარეზზე მოპირდაპირეს დიდძალი ჯარი ჰყავს, თურმე, ბალკანეთიდან აქ გადმოუყვანიათ ავსტრიელების 5—6 კორპუსი მაკენზენისა და გერმანელების 8 კორპუსი. შარშან კი მაკენზენს უმთავრესად ავსტრიელების კორპუსები ჰყავდა გერმანელებისა მხოლოდ 2—3 კორპუსი. აქ, როგორც სჩანს დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა მზადდება.

## უკანასკნელი ფოსტა

### აზრუმის გარშემო.

„ნოვ. ვრ." სწერს: აზრუმის აღება რუსის ჯარს ფართე გზას უხსნის ჩრდილოეთისა, დასავლეთისა და მცირე აზიის სამხრეთისაკენ. ეს ამბავი მესოპატამიისა და სირიის ასპარეზზედაც გავლენას იქონიებს. ოსმალები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან აზრუმის დაბრუნებას, მაგრამ თვენახევარ-ორ თვეზე ადრე ვერ მოახერხებენ მაშველი ჯარის მიყვანას.

— „პრავ. ვესტ." სწერს: აზრუმის მეციხოვნე ჯარს 100 ათასი მეომარი შეადგენდა. ციხის ბურჯებზე 467 ზარბაზანი იდგა, მოწინავე სიმაგრეებზე— 374 ზარბაზანი, ციხის შუაგულში— 200 სამთო და საველე ზარბაზანი. უკან დახეული ოსმალოს ჯარი ეხლა შეიძლება გამაგრდეს აზრუმიდან 450 ვერსზე ქ. სივასში.

— „რუს. ინვ."-ი სწერს: აზრუმის აღებით, ოსმალეთის ჯარი ერთმანეთს მოსწყდა. ჭოროხის ველის ჩრდილოეთ ნაწილში შავი ზღვის პირად და მელიაზგერთის მიდამოებში მომქმედი ჯარი მოსწყდა ვანის მიდამოებსა და სპარსეთში მყოფ ოსმალოს ჯარს.

## ბრძოლის ველზე

იაკობშტადტსა და დვინსკ შორის გერმანელებმა საკტიკი სროლა აუტეხეს ნიცგალის სადგურს. დვინსკის რაიონში გერმანელებმა გორბუნოვკაზე თავიანთი იერიში განიმეორეს მაგრამ ხელახლავ უკუგდებულ იქმნენ.

კავკასიის ფრონტზე ახალი არაფერი მომხდარა. გუშინდელი დეპეშა იძლევა მარტოოდენ დამატებითი ცნობებს. პირველ რიგის ფორტების აღების დროს რუსებს ხელთ უგდიათ 29 ზარბაზანი, ხოლო ტაფტას ფორტის რაიონში დაუტყვევებიათ 39 ოსმალო აფიცერი და 1413 ჯარისკაცი. არავითარი ცნობა არ მოსულა სპარსეთში რუსის ჯარის მოქმედების თაობაზე.

მეგრი.

## ტფილისი, 6 თებერვალი

**დასაგმობი უნიათობა.** მაშინ, როდესაც მშვიდობიანობის დროს ქართველი თავად-აზნაურობა ერთგვარ საზოგადოებრივ როლსა თამაშობდა და თვისი ორგანოს—დეპუტატთა საკრებულოს—სახით ერთგვარ ეროვნულ ღირებულებას წარმოადგენდა, ომის დაწყებასთანავე იგი გაიდა ეროვნულ ასპარეზიდან და მისი არსებობაც აღარავინ უწყის, მისი ხმა აღარსად ისმის. ამას, რასაკვირველია, თავისი შინაგანი, ორგანიული მიზეზებიც აქვს და დამოკიდებულია აგრეთვე პირად შემადგენლობის შეგნებასა და პოლიტიკურ ალღოზედ. მაშინ, როდესაც ქართველი თავად-აზნაურობა და მისი მართველი ორგანო მშვიდობიანობის დროს მხოლოდ პასიურად ხარჯავდა ისტორიულად თუ შემთხვევით შეგროვილ მატერიულ დოვლათს, თუ იგი ამ დოვლათს ქართველი მოწინავე საზოგადოების ზეგავლენით ანდომებდა კულტურულ საქმეებს, დღეს, როდესაც საჭირო გახდა აქტიური გამოსვლა და დახმარება ხალხისათვის—თავად-აზნაურობა სრულიად დაიბნა და დაწვრილმანდა, მისი ისედაც სუსტი მომქმედი ძალა დაიპნა მარტოოდენ დრუჟინების, ლაზარეთების და უნიათო კომიტეტების დაარსებაზედ. ომმა, რომელიც ცეცხლივით გამოაწრთობს და გამოაჩენს ხოლმე ოქროსა და უბრალო რკინასაც, ნათლად ჩამოჰქნა სახე თავად-აზნაურობის პასივობისა, რომელმაც თითონ არამც თუ ვერავითარი ცხოველმყოფელობა ვერ გამოიჩინა ვერც ეროვნული იდეისა დ ვერც ნივთიერს დახმარების მხრივ, არამედ შემუშავებულ და აღძრულ იდეასაც ვერ გაჰყვა, პოლიტიკურ მდგომარეობას ალღო ვერ აართვა. ის დოვლათი, შექმნილი ხალხის ოფლითა და სისხლით, რომელიც დროთა ბრუნვამ დიდ ნაწილად თავად-აზნაურობის ხელში დაატრიალა, ის უფლება, რომლითაც აღჭურვილია თავად-აზნაურობის ორგანო, სრულიად გამოუსადეგარი რჩება ალხისათვის სწორედ იმ დროს, როცა უაღრესად საჭიროა მისთვის ყოველმხრივ ხელის გაწოდება.

ამ მხრივ, გარდა ორგანიული უილაჯობისა, დიდ როლსა თამაშობს, რასაკვირველია, პირადი შემადგენლობა მმართველი ორგანოებისა, რომელნიც აჰყვნენ გულის ზრახვათა კერძოობას და პირად ღირსებასა

ქართველი თავად-აზნაურობა, ეს „მოწინავე წოდება", რომელსაც იმპერიაში ერთი უდიდესთაგანი უფლება უჭირავს ხელში, რომელსაც გარდა ლეგალურ-უფლებრივი ძლიერებისა, ხელში უჭირავს მატერიული სახსარიც, რომ ქვეყანას მიაშველოს ეკონომიური დახმარებით მაინც, თუ იდეური დახმარების თავი არ აქვს,—ქართველი თავად-აზნაურობა, ვამბობთ,—უქმად სტოვებს უფლებასაც და სახსარსაც, ოღონდ პირად შეწუხებას არ ეწიოს და პირიქით პირადი ზრახვანი დაიკმაყოფილოს. მაშინ როდესაც საჭიროა უაღრესი ამოქმედება ყოველი ეროვნული ძალისა, რომ გაუძლოთ კატასტროფიულ ხანას, მაშინ როდესაც საჭიროა გამოყენება ყოველგვარი უფლებისა და სახსრისა, რომ ომით გაწეული მსხვერპლის კომპენსაცია ვნახოთ, ჩვენი „მოწინავე წოდების" მოწინავენი უბრალო მხედრებად გადაქცეულან და ჩვენი ეროვნული თავად-აზნაურობის ერთად ერთი ღირებულება, განმასხვავებელი შიდა-გუბერნიების თავად-აზნაურობისაგან—მისი **საზოგადოებრივობა**— გაუთელიათ. სრული სიჩუმე და უნიათობაა გამეფებული დეპუტატთა საკრებულოში ობიექტიურ და სუბიექტიურ მიზეზების გამო.

ეს ფრიად სავალალო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და ღირსია კიდევ დაუბრუნდეთ მას.

## რუსული პრესა

ბრიანის მისსიის შესახებ „უტ. როს." სწერს: „იტალეთმა იმედი არ გაგვიმართლა. მან მხოლოდ ერთ ავსტრიის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა. თვით ბრძოლამაც არა სასურველი ტემპით და მასშტაბით მიიღო მსვლელობა. სალანდრას იტალეთის მისწრაფება მხოლოდ ვიწრო ფარგალში მოიქცა, ჩვენ ვიცით ამ ფარგლის მნიშვნელობაც, იგი არ გასცილებია ტრიენტს, ტრიესტს, ვალონას, ალბანეთის სამხრეთ ნაწილზე უპირატესობის ჩაგდე ა და სხვა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენმა „მოკავშირე" იტალეთმა მეტად ნაკლები როლი ითამაშა საზოგადო საქმეში. პირიქით, მისი გამოსვლა მავნებელი გახდა ჩვენი მოკავშირეებისთვის, ვთქვათ, თუნდა სერბეთისთვის ეკონომიურს ნიადაგზე. დღიდან ომის გამოცხადებისა სერბეთს მოესპო საშუალება აქედან მიეღო სურსათი, როგორც **ნეიტრალ** სახელმწიფოდან. საქმე ის არის, რომ იტალეთს არც ავსტრიის წინააღმდეგ მიუღია სასტიკი ზომები. იგი დღიდან გამოსვლისა რომ ჰკვეთებოდა მთელი თავისი ძალღონით, მეტი აქტივობა რომ გამოეჩინა, ვინ იცის, ეხლა რა ბედი სწვეოდა ავსტრიას, იქნებ უბედურ სერბებსაც აღარსად მოჰხდომოდათ გაქცევა. იტალეთის საოცარს და ასეთს ნახევარს პოლიტიკას, თქმა არ უნდა სასტიკს მსჯავრს დასდებს ამ საშინელ ომის მომავალი ისტორიკოსი. მისი ბრძოლა უცნაურია. პოზიციურ ბრძოლასაც უცნაური ელფერი აძევს. ისე მოსჩანს, თითქოს გაფიცვა მოახდინეს. ტელეგრაფი ერთსა და იმავე გაზეპირებულ ფრაზებით გვიმასპინძლდება: „ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა", და ან „მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს, მაგრამ ზარალი არა მოუყენებიათ რა"... წელიწადი მიდის და იტალეთს ფაქტიურად ნაბიჯიც არ გადაუდგავს წინ. მეორე წელში გადავდექით, ვიცით, რა როლიც ითამაშა მან ბალკანეთის ომში. ასეთი ანორმალური საქციელი იტალეთისა აღარ შეიძლებოდა მოეთმინა ადამიანს. ეს ვიგრძენით ჩვენც და ჩვენმა მოკავშირეებმაც. ბრიანი და მისი თანამგზავრნი ამ ორჭოფ მდგომარეობის ასახსნელად ეწვივნენ რომს. დროა, იტალეთმა სთქვას ნამდვილი თავისი სიტყვა და აღიმაღლოს გერმანეთის წინაშეც ხმა, თორემ კარგად უნდა უწყოდეს, რომ ვილჰელმი, გამარჯვებული იქმნება იგი თუ დამარცხებული, არ დაივიწყებს მის „ღალატს" თუ კი ღალატი ეწოდება დღევანდელს მის პოლიტიკას".

## დეპეშები

(„საქართველოს" საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„რუსკი ინვალიდი" იტყობინება აზრუმის დაცემის შემდეგ ოსმალთა ჯარები დასავლეთისკენ მიდიან ერზინგიანის მიმართულებით.**

**სამხედრო მინისტრმა პოლივანოვმა განუცხადა ფრანგულ გაზეთ „Le Journal"-ის კორესპონდენტს ომი ყოველს შემთხვევაში გაგრძელდებაო.**

**სალონიკის წინ გევგელესა და სტრუმიცას შორის ორასი ათასი გერმანელი ჯარის კაცი დგას ბრძოლისთვის გამზადებული.**

**გერმანეთს განზრახვა აქვს პოლონეთის მცხოვრებთა მობილიზაცია მოახდინოს რომ შეადგინოს ერთ მილიონიანი ჯარი.**

გ. ვ.

**კვირის სურათებიან დამატებაში** მოთავსებული იქნება: ორი სურათი [illegible]—გოგიაშვილისა, „რუსის ჯარი მდინარეზე გადადის", „ოსმალები სადარაჯოზე", აჭარის სამი მასწავლებელი. ომში დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი და ოთხი კარიკატურა.

აკაკის და უგანათლებულეს თ.დ შერვაშიძის გაბაასება, ლექსები: შიო მღვიმელისა, ბაბილინასი, ია ქართველიშვილისა და სხვათა. მჭყემს დედოფალი ალ. იაკ. ახალციხელისა.

## ახალი ამბავი

✦ **პანაშვიდი.** დღეს, 6 თებერვალს საქართველოს ექსარხოსი პლატონი სიონის საკათედრო ტაძარში გადაიხდის პანაშვიდს ბრძოლის ველზე დახოცილ მეომართა მოსახსენებლად.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ დაადგინა 4 ამა თვეს: 1) გაუგზავნოს საზოგადოების გორის განყოფილებას 300 მანეთი წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ; 2) ვინაიდან საზოგადოების თელავის განყოფილებამ იკისრა კახეთში ცნობების შეკრება ომიანობისაგან დაზარალებულთა ოჯახების შესახებ, გამოიწვიოს კახეთიდან ალექსანდრე სამადაშვილი და გაგზავნოს თიანეთისა და დუშეთის მაზრებში აღნიშნულ ცნობათა შესაკრებათ; 3) თანახმად საზოგადოების ახალციხის განყოფილების წინადადებისა გახსნას სოფ. უდეში სკოლა-თავშესაფარი ომიანობისაგან დაზარალებულთა მცირე წლოვან შვილთათვის.

✦ **ლექცია ჯარის კაცთა ობლების სასარგებლოდ.** 19 თებერვალს საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესი პლატონი ლექციას წაიკითხავს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. ლექციის მთელი შემოსავალი გადადებულ იქმნება ჯარის კაცთა ობლების სასარგებლოდ.

✦ **ტფილისის გუბერნატორი** ბ-ნი სტრახოვსკი უმაღლესის ბრძანებით სენატორად დაინიშნა და ებრძანა სენატის სხდომებში მონაწილეობა მიიღოს. ბ-ნი სტრახოვსკი უკვე გადადგა გუბერნატორის თანამდებობიდან და ამ დღეებში პეტროგრადს მიემგზავრება. გუბერნატორის თანამდებობის შესრულება დროებით მიენდო ვიცე-გუბერნატორს ბ-ნ პანოვს.

✦ **მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის"** წევრთა საგანგებო კრების გაგრძელება დანიშნულია ხვალისათვის, დღის 12 საათზე, „ახალ კლუბის" დარბაზში. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრნი.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ 4 თებერვალს განაგრძო მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა. წინასწარ განიხილა საგარეჯოს მამულის მოსალოდნელი ხარჯები. როგორც ახალ მამულში, შემდეგი გასაკეთებელი საქმეები გაითვალისწინა საბჭომ: უნდა შეიღობოს მამული, ძეძვი ამოვარდეს და 1 დესეტინამდე დაიბაროს ბოსტნისა-

## სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 25)

სწორედ ასეთია გლეხი ცეცო. მას ალონებს და აწუხებს არა მარტო თავისი, პირადი დაჩაგრულ-დამცირებული მდგომარეობა, მისს „გულ-მუცელს ცეცხლით ავსებს" მეზობლების უნუგეშო ყოფა-ცხოვრებაც. ცეცო მზად არის „შლაპუნი აუტეხოს გვერდებში" ყველა იმათ, ვინც ხალხს ჩაგრავს, ვინც მას ლუკმა პურს პირიდან ჰგლეჯს; მზად არის „მათრახი კი არა, კაი საქმეჩო იფნის სახრე მოიმარჯვოს, აკეთოს სოფლის წურბელებს და სულ ძვლამდის გაალურჯოს"; მზად არის... მაგრამ ამავე დროს თითონაც გრძნობს, რომ ეს ჯერ-ჯერობით სოფლელისათვის შეუძლებელია, ჯერ არ დამდგარა ის ნეტარი დრო, როდესაც დაჩაგრული შესძლებს დამჩაგვრელს სამაგიერო მიუწყოს. „მაგრამ... ეეჰ, ჩემო ძმაო! მაგას ჩვენ ვინ გვაღირსებს",— ოხვრით? დაღვლიანად ეუბნება ცეცო თავის ამხანაგს,—და ვერც იქ შენ და მე; ჩემო ძმაო აგრე უღმერთობას რო გავიგებ ხოლმე, ზიარების მადლმა, სულ გული ამიდუღდება და თვალი სისხლით ამევსება ხოლმე. აი იმ დღეს საწყალს ძღვავ დალაქიანთ ქვრივ-ოხერ დედაკაცს რა საქმე დაუწიეს ორი შაურის გულისთვისა: კინაღამ კიწიწებით ამოხრიეს". შემდეგ ცეცომ პაკოს დაუხატა საშინელი სურათი ხალხის გაჭირვებისა,—აღწერა საწყალი დედაკაცი თუ როგორ „ფეხშიშველი ფეხით გახურებულ დედა-მიწაზედ დილიდგან სალამომდის მოკუზული სდგას და მუშაობს,—მუშაობს და მდუღარე ცრემლებს აბნევს ამ სიცხე პაპანაქებაში". „ისე აუარ-ჩაუარე, არც კი შეუხედია, შენიშნავს ცეცო, „შეჩერდი, ბიჭო, და სულ ბაგა-ბუგი დამიწყო ცოდვით გულმა". „ცეცომ აქ ერთი საშინლად ამოიხვნეშაო, დასძენს თავის მხრით ავტორი,—თითქოს უნდოდა მოგროვილი, გაუგებარი ნაღველი ამოანთხიოსო". ასე, ამ კილოთი, მსჯელობს ახალგაზრდა დაბეჩავებული ღამის მეხრის გონება, ასე ადამიანურად სძგერს მისი მგრძნობიარე გული!

ამოძრავებული აზრი და სიბრალულისათვის ღია გული ქართველის გლეხისა თანდათან სპეტაკდება, შეგნებულ ხასიათს ღებულობს და მიზანშეწონილად იწყებს მოქმედებას. და ცეცოც, —ეს ახალგაზრდა უსწავლელი და გამოუსვლელი ბიჭი,—მალე გარდაიქცევა შეგნებულ, მხნე და თავდადებულ სოფლის წარმომადგენლად. მან აშკარად გამოიჩინა ნამდვილი ძირითადი თვისებები ქართველ ხალხისა: უშიშრობა, თავგანწირვა და ადამიანური თავმოყვარეობა.

განვლო დრომ, და ცეცოც ხალხის ბელადად შეიქმნა. სოფლელებმა თავის ბელადის სამართლიანს და გაბედულს სიტყვას და საქმეს მხარი დაუჭირეს. ის გლეხობა, რომელსაც ამას წინედ თვით ცეცო ასე ახასიათებდა: „ყველა გაჩუმებულია, ყველა ერთმანეთს შესჩერებია პირში, სწორედ ცხვრის ფარა არიან",—ასეთი გლეხობა, ცეცოს მაგალითით გონს მოსული და წახალისებული, საბრძოლველად დაირაზმა და თვის ბელადს გაბედულად გვერდში ამოუდგა. „მართალია! აი შენი დედ-მამა განათლდეს, შენიო", გატაცებით ადასტურებს ის ცეცოს მკაცრს და სამართლიან უსამართლობის მხილებას.

რადგანაც სოფლის მტრებმა: ფიდუამ, ბლუნძელაშვილმა, „უპრავლაჩიმ" და თვით ბატონმა „სული ამოართვეს ხალხს"; რადგანაც მათგან „სულთა დგომა აღარ იყო"; რადგანაც მათის წყალობით ხალხს „ვენახი არ დარჩა, ყანა, სიმინდი", ამისათვის სოფლის წარმომადგენლებმა, ცეცოს ბელადობით, გადასწყვიტეს „მტერს სახლის კარი შეუკრან, მეზობლად არ გაატარონ, გუთანში ხარი არ შეუბან, ჭირსა და ლხინში ნუ მივლენ, ნუ მიხედავენ, რა არის, ვითომც ნუ ყოფილან ეგენი სოფელში". ეს ხომ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ, ნამდვილი ბოიკოტია! „სახლის შეკვრა" ან ბოიკოტი დამნაშავეთა ასალაგმავად და გასასწორებლად ახალი და უცხო ცხოვრების ზედ-გავლენით არ აღმოცენებულა ჩვენში. ასეთი საშუალება და მისი ძლიერება ქართველებსაც საკუთრივ ჰქონიათ განცდილი და მიღებული. „უწინ სულ ასე არ იყო, ამბობს გლეხი ბერიკა,— შეუკრამდით სახლსა და გაგიხარიან მალე მოვარჯულებდით ხოლმე! ადამიანი ხო ეშმაკი არ არი: პეპელა ხო არ არის, რო კედელს მიეკრას, უმეზობლოდ გლეხ-კაცს ერთ წუთს გაძლება არ შეუძლიან" („ღამის მეხრე ცეცო", გვ. 66).

„სახლის შეკვრა"—ეს პირველი ნაბიჯი და საშუალება იყო, რომელსაც მიმართა გათვითცნობიერებულმა სოფლელმა ცეცომ და ამის შემდეგ აქტიურად გამოვიდა ბრძოლის ველზე.

ცეცო და მისი ამხანაგები ჩქარა დარწმუნდნენ, რომ „სახლის შეკვრა" გასჭრის მხოლოდ ჩვეულებრივ სინიდისიან და მგრძნობიარე მეზობელზე და არა ძლიერ მებატონეზე, უსინიდისო მოურავზე და გამდიდრებულ მევახშეებზე, რადგანაც მათ სუყველაფერი ბევრი აქვთ და სხვისი არაფერი სჭირდებათ. ამისათვის იმათ უფრო რადიკალურ ზომებს მიმართეს: მტერის და მჩაგვრელების ფიზიკურად დასჯას შეუდგნენ. მოვისმინოთ ცეცოს ამხანაგის—მიხოს მსჯელობა: „ერთი კარგად გავსახროთ სადმე ყველანი, ე ბატონიც ხედ მივაყოლოთ და თავს დაგვანებებენ, აი არა მაქვს მიხასა". ცეცო უპასუხებს: „ყველას თავისი დრო აქვს... რუსის კანონი არ იცით თქვენა... ჩემი დროც მოვა, უმაგისობა არ იქნება. მაგრამ ისე კი უნდა ვსცემოთ, რო თავბედი იწყევლონ და ჩვენ სამართალში მიგვცენ"...

სოფლის ბელადებმა თვისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს სწორედ იმ დროს, როდესაც მჩაგვრელთა თავგასულობამ და უსამართლობამ საზღვარს გადააცილა და მთელი სოფლის დრტვინვა და გულისწყრომა გამოიწვია. ეს ის დრო იყო, როდესაც ბატონმა „კულუხის გაწერა მიანდო სოფლის მოხელეებს და მათ შემწედ მისცა ბლუნძელაშვილი და ეშმაკაშვილი, ამ რიგად ორჯერ მეტი გადასახადი შეაწერა გლეხებს (გვ. 81). ერთს ცივს და ქარიანს შემოდგომის ღამეს ცეცო და მისი ამხანაგები ჩაუსაფრდნენ მამასახლის, ფიდუას, ბლუნძელაშვილს და ჯოხებით ისე მობრეგვეს, რომ ძლივს სიკვდილს გადარჩნენ. რაც დრო მიდიოდა გლეხობაში თანდათან ფეხს იკიდებდა შეგნება აქტიური თავის დაცვის საჭიროებისა, უფრო აშკარავდებოდა და ირკვეოდა მიზეზი სოფლის ეკონომიურად უკან ჩამორჩენისა. ამისდა მიხედვით, გლეხობის წარმომადგენლებიც უფრო გარკვეულს და მთლიანს სახეს იღებდნენ.

ბ. ს. მგალობლიშვილმა სცადა ამ გართულებულ ტიპების მხატვრულ ფორმაში ჩამოყალიბება. სახეში გვაქვს მისი გმირი ჯორ-ზაქარა.

ჯორ-ზაქარა თითქმის იგივე ცეცოა; მისი სულიერი თვისებები ძლიერ ენათესავება ცეცოს სულიერს თვისებებს. მიზეზი ჯორ-ზაქარას უკმაყოფილებისა და საბრძოლველად გამოსვლისა იგივეა, რაც ცეცოსი. მხოლოდ ჯორ-ზაქარას, ბუნებით დიდად მომთმენ და წინდახედული ადამიანს, უსამართლობასთან ბრძოლის პირობების გართულებამ სისხლი დაადვრევინა, ე. ი. მან უკანასკნელ ლოღიკურ დასკვნამდის მიიყვანა ცეცოსაგან გადადგმული ნაბიჯი.

ჯორ-ზაქარა პირდაპირი, ერთობ ჯიუტი და მოუტეხელის ხასიათის კაცი იყო, რომ იტყვიან თავის ნება კაციაო, ასეთი კაცი იყო; თუ თავისი გული არ ეტყოდა, ისე საქმეს არ დაიჭერდა.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ჯორ-ზაქარამ, ისედაც თავისუფლების მოყვარემ, მინდორ-ველის თავისუფალმა შვილმა, უფრო ღონივრად ამოისუნთქა, თავის სახლის ჭერიც გააცინა; მისი ოჯახი ჩქარა ბოკდებოდა, ხელის ძალა მოეცა, გაღონიერდა ზნეობითაც (გვ. 18).

მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ჯორ-ზაქარას ასეთი მყუდრო და დოვლათიანი ცხოვრება. თუმცა ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ ყოფილ ბატონების და მათი მოურავების აღვირახსნილი თარეშობა, დაწიოკება, შეურაცყოფის მიყენება და ოჯახების გაუპატიურება ისევ ძველებურად სწარმოებდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სოფელი ახლა არ უთმობდა ადრინდებულად უპროტესტოდ; როდესაც მოურავი დასარბევად შემოიჭრებოდა სოფელში, „გამოცვინდებოდნენ ქალები, მეხრე ბიჭები და გაჩნდებოდა ერთი ჩხუბი, თავ-პირის ჩეხამტვრევა" (გვ. 20). მაგრამ სოფელს მალე ნამდვილი უშიშარი მცველები და დარაჯებიც გამოუჩნდნენ. ერთი ამათგანი იყო ჯორ-ზაქარა.

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

თვის. ყოველივე ამისათვის ჯერ-ჯერობით ნავარაუდევია შემოდგომამდე 2.300 მანეთამდე.

✦ **ილიასეულ მამულის გარშემო.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა და წერა-კითხვის საზოგადოების კომისიების კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 10 თებერვალს, ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით გაცემის შესახებ პირობების შესამუშავებლად.

✦ **კახეთში,** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, გავრცელებულია საფლე და სხვა გადამდები სნეულებანი. გარდა სურსათისა საჭიროა ფიცხელი სამკურნალო დახმარება.

✦ **ფუნიკულერის** დირექციას, როგორც ვიცით, ანტრაციტი შემოელია და ამის გამო იძულებული გახდა ფუნიკულერის მოძრაობა შეეჩერებინა. ეხლა დირექციამ იშოვნა ცოტაოდენი ანტრაციტი და ფუნიკულერის მოძრაობა დღეს ისევ განახლდება.

✦ **ანდერძის შემდგენი.** აწ განსვენებულ ა. გ. აივაზოვის ცნობილი ანდერძი შეუდგენია თავ. გ. მ. თუმანოვს და მასვე ხელი უწერია ზედ, როგორც მოწმეს.

✦ **ცნობების შეკრება ჯარისკაცთა შესახებ.** სოფლის მცხოვრებლებმა განსაკუთრებით გლეხების მომეტებულმა ნაწილმა არა იციან-რა, თუ სად იმყოფებიან ანუ ცოცხალ არიან თუ დაიხოცნენ იმათი ოჯახის წევრები, რომელნიც ბრძოლის ველზე არიან გაწვეული. ბ-ნი იასონ კერესელიძე ატყობინებს ქართლიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ ბევრი გლეხის ოჯახი სხვა ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად იმითაც არის დამწუხრებული, რომ არავითარი ცნობა არ აქვს თავისი შვილისა ანუ ძმის შესახებ, არა იცის-რა, ეს უკანასკნელნი ცოცხალი არიან თუ დაიხოცნენ. ბ-ნი კერესელიძე ამის გამო სთხოვს აღნიშნულ გამგეობას იკისროს ქართველ ჯარისკაცთა შესახებ ცნობების შეკრება და მათ ნათესავებისათვის მიწოდება. გამგეობამ დაადგინა შეეწყნაროს ბ-ნ კერესელიძის წინადადება და ცნობებისათვის მიმართოს არსებულ ბიუროებს.

✦ **სასურსათო თანხის ძებნა.** სასოფლო კოოპერატივები და ზოგიერთი სოფლებიც სესხად ფულს სთხოვენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას სასურსათო ოპერაციისათვის. რადგან საზოგადოებას გასასესხებელი ფული არ აქვს, ყველა მთხოვნელს უარს ეუბნება. სხვათა შორის კაცხის (შორაპნის მაზრა) საზოგადოებაც თხოულობდა სესხად 5.000 მანეთს, მაგრამ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ვერ მისცა.

✦ **სურსათი.** 3 და 4 ამა თვეს რკინის გზით შემოვიდა თბილისში: ფქვილი 9 ვაგ., ქერი 2 ვაგ., სიმინდი 2 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., ფხვნილი შაქარი 4 ვაგ., ხილი 2 ვაგ., მუხუდო 1 ვაგონი, შეშა 33 ვაგ., ქვა ნახშირი 2 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., მაზუთი 7 ვაგ., ხახვი 140 ფუთი, ერბო 45 ფუთი, ბრინჯი 320 ფუთი.

✦ **გადამდები სნეულობანი.** 5 ამა თვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 169, ხუნაგიანი 23, სახადიანი 27, საფლიანი 12, მუცელაიანი 1 და წითელ ქარიანი 1 კაცი.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელს უკანასკნელ ფოსტაში შეცდომით იყო დაბეჭდილი **ცარგრადი,** უნდა ყოფილიყო **სტამბოლი.**

## ნ. დურნოვოს წერილი

„პეტროგრადსკი ვედომ."-ში (№ 24) დაბეჭდილია ნ. დურნოვოს საგულისხმო წერილი საეკლესიო საკითხებზე. მოგვყავს სრულიად:

„ჩვენ დიდიხანია წინდაწინვე ვგრძნობდით და არა ერთხელ დაგვიწერია, რომ როდესაც ეკლესიის ფეხქვეშ გათელილ უფლების აღდგენაზე ალიძვრება ლაპარაკი, მას წინ აღუდგება ისეთი ხალხი, რომელთაც არც ეკლესიის ისტორიისა გაეგებათ რამე, არც ღვთიური კანონები იციან, არც საეკლესიო წესდებანი და ხმა მაღლა მოჰყვებიან ღაღადისს: „ეკლესია განსაცდელშია!.. იხსენით სარწმუნოება და ეკლესია?" მათ ხმას მისცემენ ეკლესიისა და სახელმწიფოს დაქირავებულნი, რომელნიც საეკლესიო და ლატაკთა ქონება დაუნიავებიათ.

ინუგეშეთ ცრუ მემარჯვენენო (მემარჯვენე იდეალისტებს, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ღმერთი, მეფე და რუსეთი, მათს რიცხ-ში არა ვთვლი).

პეტროგრადის მიტროპოლიტი ლიუტერანთა რეფორმებს კი არა წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას ესარჩლება. მისი გონების თვალი მიპყრობილია კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ აღმოსავლეთის ეკლესიაზე, საიდანაც აღმობრწყინდა ჩვენი ეკლესიის სინათლეც.

იქნება თქვენ, მაკდურო და გაიძვერა მოსყიდულნო, ხელს აპოტინებთ ეკლესიის განძისაკენ და ჰფიქრობთ, საბერძნეთისა, რუმინეთისა, სტაროობრიადცების ეკლესიები ლიუტერის მწვალებლობაზეა აგებული? ნამდვილმა მართალმა ხალხმა, ვინც კი ღვთის ეკლესიას ემყარება, კარგად იცის, რომ, თუ ეკლესიის კანონიური წესი არ აღადგინეს, თუ ეკლესიაში კვლავ ქაოსი იმეფებს და ეკლესიის განძს მოსყიდული ხალხი დაუწყებს პოტინს, არა თუ ეკლესია, თვითონ სახელმწიფოც განსაცდელში ჩავარდება.

ჩვენ კარგად გიცნობთ თქვენ, ბ-ნნო ცრუ-მართალნო, ვიცნობთ თქვენს ხელმძღვანელებს, თუნდაც ანაფორით შემოსილთ, რომელთაც დიდი ხანია ღმერთი დაჰვიწყებიათ და მთელი სიცოცხლე ოქროს თაყვანებაში გაუტარებიათ.

ისინი საეკლესიო გემის მახლობლად სდგანან და მის მმართველობის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობენ. როდისმე მათზე ცალკე მოვილაპარაკებთ და გვარებსაც დავასახელებთ. ეს—ძველი ნაცნობები ბრძანდებიან, რომელთაც ჯერ კიდევ 1906 წელს გამოიჩინეს მტრობა საქართველოს ჯვარის მტვირთველ ეკლესიის კანონიურ უფლების აღდგენის წინააღმდეგ.

მეუფე პიტირიმი მოსკოვის პატრიარქთა ერთ-ერთს წოდებას ატარებს და, ადრე თუ გვიან, იგი სათავეში მოექცევა პეტრე I-ლის მიერ უფლებააყრილ, უთაოდ დარჩენილ, ეკლესიას.

შეწევნითა ღვთისათა და საყვარელ თვითმპყრობელ ნიკოლოზ მე-II-ის კეთილმოწყალებით იგი (პიტირიმი) ეკლესიის გემს მყუდრო ნავთსადგურამდე მიაცილებს და ეკლესიაც თავისუფლად ამოისუნთქებს: გაჰქრება მწვალებლობა და მწყემსნი დაამკვიდრებენ მრევლში მშვიდობასა და სიყვარულს და არავითარი განცალკევება მრევლსა და სამწყსოს შორის აღარ იქნება, აღარ იქნებიან ლატაკნიც, რადგანაც საეკლესიო ქველმოქმედება განვითარდება და მას ამ საქმეში ხელს არავინ შეუშლის.

**ნ. დურნოვო.**

## ვასილ ალშიბაია

ჩვენი ქვეყნის უებრო და თავგანწირულ მამულიშვილთა შორის საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ამ ათის წლის წინად გმირულად თავის გამწირველს ვასილ ალშიბაიასაც. მისი სიკვდილის ათი წლის შერულების გამო გაზ. **„სახალხო ფურცელი"** სწერს:

2 თებერვალს, შესრულდა ათი წელი, რაც წუთისოფელს გამოასალმეს იშვიათი ადამიანი, რაინდი და სპეტაკი სულის პატრონი, მშრომელი ხალხისთვის თავდადებული ვასილ ალშიბაია.

ჭეშმარიტად იშვითია ადამიანი, რომელიც ერის სამსხვერპლოზე მიიტანდეს თავის თავს ზვარაკად, აღგზნებულს უსაზღვრო სიყვარულით ერისადმი, ბრძოლის სურვილით გამსჭვალულს.

ასეთი პიროვნება იყო ვასილ ალშიბაია. განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამეგრელოში. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, სტუდენტი ალშიბაია მთელის არსებით ანგარიშ მიუცემლად და თავ-დავიწყებით მიეცა ამ საქმეს.

საპირადო მისთვის არა არსებობდარა. იყო მხოლოდ საქართველო, ქართველი მშრომელი ხალხი. და აკი, როდესაც ამ ხალხს განსაცდელი მოევლინა, ვასომ წარბ-შეუხრელად თვისი ფაქიზი და უულამაზესი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა.

მოძრაობა დამარცხდა. რეაქცია სისხლის ნადიმზე ზეიმობდა თავის გამარჯვებას. ვასოს უდრეკი სული ვერ გაჰყინა სუსხმა. ისევ მხნე, ისევ მედგარი იდგა მშრომელი ერის საყარაულოზე და მტკიცე, ხალისიანი ხმით ზარდაცემულ ხალხს ამხნევებდა.

როდესაც დასავლეთ საქართველოში ალიხანოვის დამსჯელი რაზმი მოქმედებდა, ზუგდიდის მოქალაქეებმა ცნობა მიიღეს, რომ ზუგდიდზე რაზმი მიდის და ვინიცობაა მეთაურები არ გაეცათ, დაწვა-განადგურება და აწიოკება მოგელითო.

ზუგდიდში დიდი მღელვარება იყო, იდგა ტირილი და ვიში. ყველამ თავი დაჰკარგა. არ იცოდნენ რა ექნათ. არ დაიბნა მხოლოდ სულმნათი ვასო. იმ დღესვე ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში შეყარა მოქალაქენი და ასეთი წინადადება მისცა: **„ხვალ თუ ზეგ ზუგდიდს ჯარი ეწვევა. მეთაურების** გაცემას მოგთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში აწიოკება მოგელით. წარუდგინეთ ჩემი თავი. ნუ დაეცემით სულით. ოღონდ თქვენ გადარჩეთ განადგურებას და მე დამშვიდებული გულით ავალ სახრჩობელაზე. მე სოფ. ჭყადუაში ვიქნები. იქ შემატყობინეთ ჯარის მოსვლის ამბავი!"

როცა ვასო თავის სოფელში ელოდა პასუხს, მის სახლს დაეცნენ, ვასო შეიპყრეს და გზაში ერთმა დარაჯმა ტყვიით გამოასალმა წუთისოფელს...

## შიო მღვიმელის დილა

კვირას, თებერვლის 14-ს, შუადღის სწორედ 12 საათზე (სათეატრო ადმინისტრაციის განკარგულებით) თბილისის სახაზინო თეატრში გაიმართება შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა, რომლის პროგრამაც უკვე შემუშავებულია. დილა იმართება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით. მთელი წმინდა შემოსავალი გადაეცემა მგოსანს. **ბილეთები იყიდება ქართველ ქალთა საზოგადოების საჩაიეში („ძმური ნუგეში"),** ყოველ დღე, დილით 11—2 საათამდე, ხოლო საღამოთი 6—11 საათამდე.

ყოველგვარი შესაწევარი უნდა გამოიგზავნოს კომისიის ხაზინადრის **ანნა ივანეს ასულის ზედგინიძის** სახელზე „ჯეჯილის" ან „ნაკადულის" რედაქციებში.

ვისაცა ჰსურს, რითიმე მიიღოს მონაწილეობა დილაში (დეპუტაციის გამოგზავნით, სიტყვის თქმით და სხვ.) მან უსათუოდ, არა უგვიანეს პარასკევისა (თებერვლის 12) უნდა აცნობოს კომისიას, რა სახითა სურს მონაწილეობის მიღება. ყოველ გვარი განცხადება მიიღება „ძმურ ნუგეშში" ბილეთების გამყიდველთან, ზემო აღნიშნულ დროს. 12 თებერვლის შემდეგ აღარავითარი განცხადება აღარ მიიღება.

რადგან სასურველია, რომ დილაზე რაც შეიძლება ბლომად დაესწრნენ **ქართულად ჩაცმული ბავშვები,** კომისია სთხოვს ასეთ, ბავშვების მშობლებს წინდაწინვე აცნობონ კომისიას თავიანთი ვინაობა და მისამართი.

კომისია იმედოვნებს, რომ ქართველი საზოგადოება ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს მისს საქმიანობას და საშუალებას მისცემს პირნათლად გამოვიდეს როგორც „ჩვენი შიოს" წინაშე, ისე მთელი ქართველობის წინაშეც და ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ ქართველი კაცი ნივთიერად სხვაზე უფრო დაქვეითებული, სიუხვით არავის ჩამორჩება, რომ მან ღირსეულად იცის თვისი მოჭირნახულის დაფასება.

**სადღესასწაულო დილის მომწყობი კომიტეტი.**

## საისტორიო ცნობა

აზრუმის აღება ყველას სალაპარაკოდ გაჰხდომია. მცირე აზიაში ერთად-ერთი სიმაგრე იყო. იქიდან საფრთხე აღარსად არის განსაკუთრებით ტრაპიზონისაკენ გზა გაშლილია.

აზრუმიც, ტრაპიზონიც ქართველისთვის ღირს-სახსოვარი უნდა იყვეს. პირველს ძველად ერქვა **კარნუ ქალაქი,** ხოლო მეორეს **ქალდე.** აზრუმის ვილაიეთში მთელი ბახიანას ხეობა ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილია. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ილია ჭავჭავაძის დის, ქვრივის ელისაბედ საგინაშვილის მოურავი აწ განსვენებული ჩიკოიძე მოგზაურობდა აზრუმისაკენ და გზაში, ბახიანის ხეობაში, გავლის დროს შეჰხვედრია მაჰმადიანებს, რომელნიც ქართულს ლაპარაკობდნენ. ჩიკოიძეს გამოუკითხავს ვინაობა და სადაურობა, მათ უპასუხნიათ, ჩვენ არსაიდან არა ვართ მოსულნი, ათადან-ბაბადან აქაურები ვართო. ეს ამბავი გადმომცა თვით განსვენებულმა ჩიკოიძემ. ბახიანას ხეობა სწორედ ის ადგილია, სადაც თამარ მეფემ ნუქარდინ სულთანზე გაიმარჯვა და რუსებს შარშან და წელს (ჰასანკალა და სხვა ადგილებში) არა ერთხელ უფრენიათ თურქები. აზრუმში, მეთვრამეტე საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ჯერ კიდევ იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, **აზრუმელად** წოდებული.

ტრაპიზონის ვილაიეთი ბუნებრივი გაგრძელებაა ეთნოგრაფიული საქართველოსი. დიდი სამსახური გაუწევიათ მის მკვიდრთ ძველად საქართველოსთვის. თემობით მეგრელები (ჭანები) და სარწმუნოებით დღეს მაჰმადიანები ძველად მართლ-მადიდებლები იყვნენ და მოძმე ქართველთა შორის ქრისტიანობის ქადაგებას და შემდეგ გამტკიცებას დიდი ღვაწლი დასდეს. წმინდა ნინო ჭანეთის ქვეყნელი (კაპადოკიელი) იყო. იქიდანვე იყვნენ ცამეტნი სირიელნი მამანი, რომელნიც ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ, სიმონ მესვეტის ჩაგონებით მოვიდნენ ქართლში ქრისტიანობის განსამტკიცებლად, ცეცხლის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ. როგორც მათ, ისე დანარჩენ ჭანებს ბერძნები ეძახდნენ **თეთრ სირიელებს** (გლავკო სირიოი). გასარჩევად იმ სირიელებში, ანუ ქალდეველებში, რომელნიც მესოპოტამიის მკვიდრადვე დარჩნენ. ქალდეველი და ქართველი ერთი და იგივე სიტყვაა. თამარ მეფემ ჭანეთი წაართვა ლათინებს, დააარსა ცალკე სახელმწიფო, რომელიც დაუმკვიდრა თავის ნათესავს ბერძენთ კეისართა შთამომავალს კომნენსა, მაგრამ ბოლოს კონსტანტინეპოლთან ერთად თურქთა საბრძანებელი შეიქმნა, ხოლო მკვიდრთ აღიარეს ისლამი. ბერძნის ტრაპიზონელ ეპისკოპოსს დღესაც **ქალდეველი** ეწოდება. ტრაპიზონში, როგორც ვიცით, ჰმარხია ბერძნის ეკლესიის გალავანში იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე, რომელმაც რუსთა ტყვეობას თავი დაახწია.

1783 წ. ერეკლე მეორისა და რუსთ ხელმწიფის ეკატერინე მეორის შორის დადებულის პირობით, რუსის მთავრობა მოვალედ აღიარებდა თავის თავს საქართველოსთვის დაებრუნებინა ის მიწა წყალი, რომელიც საქართველოს ბუნებრივი ნაწილი იყო და ოსმალეთის საუფლებელს შეადგენდა.

**პეტრე მირიანაშვილი.**

## ქალთა სემინარიის გარშემო

„განათლების საზოგადოების" კრებაზე ამორჩეული დამხმარე კომიტეტი ქალთა სემინარიის ფონდის გასაძლიერებლად უკვე შეუდგა საქმეს. პირველ კრებაზედ ამოირჩია თავმჯდომარედ ქ. ს. დ. კალანდარაშვილისა, მის ამხანაგად—თ. გ. ფორაქაშვილისა, ხაზინადრად—თ-დი ი. რ. მაყაშვილი და მდივნად ი. გ. თაზიშვილი.

ამ ჟამად მთელ ქონებას კომიტეტისას შეადგენს 3804 მან. ეს ფული შესდგება თბილისის გუბ. თავად-აზნ. მიერ შემოწირულ 3000 მან., კერძოდ მოგროვილ 360 მან., ეპისკოპოზ ლეონიდის მიერ შემოწირულ—100 მან., ქ. თ. გ. ფორაქაშვილის მიერ კერძოდ მოგროვილ—284 მან. და მისივე მიერ შემოწირულ—60 მან.

საზოგადოების საყურადღებოდ კომიტეტი აცხადებს, რომ ფულის შემოწირულება ზემო აღნიშნულ საგნისთვის მიიღება ქ. ს. დ. კალანდარაშვილის და თ-დ ი. რ. მაყაშვილის ბინებზედ (ოლღას ქუჩა, მელიქ-აზარიანცის სახლი) და ირ. გ. თაზიშვილთან (თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში).

კომიტეტმა გადასწყვიტა იდღესასწაულოს ყოველ წლივ პირველ მაისს თამარის დღე როგორც თბილისში, აგრეთვე პროვინციებშიც და გამართოს ამ დღეს მუსიკალურ-ლიტერატურული დილა, ლექციები და სხ.

## უზრუნველ ქართველის დღიურიდან

18.

რომ იცოდე, მკითხველო, რამდენი საყურადღებო და ცხელ-ცხელი ამბებითა ვარ დატვირთული!.. დროზედ რომ არ გიამბო და ხამფერასავით გული არ მოვიოხო,მგონი ბოღმამ დამახრჩოს; მაგრამ, რა გამოვიდა: ღმერთმა ჰკითხოს ყველას (რედაქტორია იგი, თუ სხვა ვინმე), რომელიც გასაქანს არ მაძლევს, ან, როგორც წინა წერილითაც დარწმუნდი — თეთრი „შლეიფით" უშვებს ჩემს დღიურს ამ „შუა ზამთარში". ყველაფერის პირდაპირ თქმა არ შეიძლებაო; ქაჯური ლაპარაკი კიდევ მე არ ვიცი და, მეტი რა გზაა:—ზოგჯერ მე მოვითმენ ხოლმე, ზოგჯერაც კიდევ, მამაცხონებულო, შენ მიმიხვდი ხოლმე, რის თქმაც მინდა და, ამ გვარად, ნუ შევწყვეტთ მუსაიფის ძაფს...

არ ვიცი კი საიდან დავიწყო. სოლოლაკელ სომეხ-პლუტოკრატების ნაღებთა,—მილოვ-ადელხანოვის და კომპ. მიერ ჩადენილი ოინები უკვე გაგონილი გექნებათ და სიტყვას აღარ გავაგრძელებ; მხოლოდ ერთი რამე უნდა აღვნიშნო: უეჭველია გაიგებდი, რომ მილოვმა, ორიოდე თვის წინედ, მეომართ „პოზიციებზე" გრამოფონი „გაუგზავნა" და მადლობაც მიიღო, როგორც გაზეთებშიაც უკვე იყო მოხსენებული. მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, რომ სიცივეში და უბედურებაში,—გართობას და მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მილოვსაც უფიქრია: ვინაიდან ჯარისკაცთათვის დანიშნული „მატერია" ჩემ პირველხარისხოვან მაღაზიაში საზღაპრო ფასებში იყიდება და პირდაპირ ცოდოა ამ „მატერიების" „სალდათებისთვის" გაგზავნაო,— ისევ სჯობია იმათ გრამოფონს გაუგზავნი: ჯარისკაცნი გაერთობიან, იცეკვავენ, იმოძრავებენ და ამით სიცივესაც იმდენად ველარ იგრძნობენო... თუ შენც დამეთანხმები, მკითხველო, გვარიანი გასამართლებელი საბუთია და მაშ რატომ ღა უკრეს საბრალო მილოვიანცს თავი „ვ. აბანოში„,-—ველარ გამიგია!?..

ისრე, როგორც ვერ გამიგია თბილისის ხმოსნის ბ. გოთუას ახირება, რომ აივაზიანცის-მიერ თავისივე მემამულეთათვის ნაანდერძევი ერთიოდე მილიონ მანეთის განაწილების მზრუნველობა, რატომ უნდა დაეკისროს ქალაქის გამგეობას და არა პირდაპირ რომელსამე სომხურს საქველმოქმედო საზოგადოებასაო. ბ. გოთუა ამდენი ხანია თბილისის სამმართველოშივე ტრიალებს და აქნობამდე ვერ გაუგია, რომ იქ, სხვა ერების წარმომადგენლები მხოლოდ სადეკორაციოდ, ან, უკეთეს შემთხვევაში, სტატისტებათ არიან და ფაქტიურად თბილისის ქალ. სამმართველო სომხური დაწესებულებაა. განსვენებულის ნება იყო, რომელ სომხურ დაწესებულებასაც მიანდობდა თავის ნების ასრულებას. ან თუ რა ახირება იყო ბ. გოთუასი, რომ იძახდა: განსვენებულს აქ შეუძენია თვისი სიმდიდრე და რახან ქონებას ქალაქს უტოვებდა;—სხვა ეროვნებანიც არ უნდა დავიწყებადაო. თუ აღარ დაიშლით, ბარემ ღა სოციალიზმის საჭიროება უქადაგეთ სოლოლაკელებს! დამშვიდდით, ბატონებო, იმათ თავიანთ საქმე მშვენიერად მიჰყავთ. ნათქვამია: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო". მიიხედეთ გარშემო: ჩვენ დროში, ყველა ეროვნება, განსაკუთრებით პატარა ერები, ყოველ-გვარ ღონეს ხმარობენ, საერთო ძალა შეჰქმნან რომ რამენაირად დაიცვან თავიანთი თავი ამ „ცეცხლის ფრქვევის დროს". ამავე მიზნით შეთანხმებით, სოლიდარულად მოქმედობენ ჩვენი მეზობელი სომხებიც. გამონაკლისს მგონი მხოლოდ ქართველები-ღა შევადგენთ: დაქსაქსულნი, პარტიებათ და ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებად დაყოფილნი, ვედებით ღობე-ყორეს. ყველა ეროვნებაზე მაღლა საქართველომ უნდა ასწიოს სოციალიზმის დროშა. რა თქმა უნდა, დიდებული მოძღვრებაა სოციალიზმი, მაგრამ მუსულმანების თქმისა არ იყოს: „ჩექმების სივიწროვე თუ სულს გიხუთავს, აბა რას გიშველის დუნიის სიფართოვეო".

თქვენი არ ვიცი და მე-კი გადავწყვიტე „თბილისის ლისტოკ"-ის თანამშრომელს, ბ-ნ კ. ფირცხალაიშვილს, მივბაძო და უფრო დაუახლოვდე სოლოლაკელთ. განზრახვა მაქვს თბილისის გამგეობის რომელიმე გავლენიან წევრს ან საკრებულოში სადილი გაუმართო, ან შვილი მოვანათლინო, მაშინ გიყვარდეს: ერბოს თუ ეხლა გირვანქას მანეთ-ნახევრათაც ვერ ვშოვულობ, 62 კაპეიკათ მექნება; შაქარი თავზე საყრელი და იქნება ბაზრის ზედამხედველობაც-კი გავიკრა!.. რას იზავთ: გაჭირვება მაჩვენე—გაქცევას გაჩვენებო". თორემ თქვენ გასაჯეთ: ქალაქში ხორცი არ იშოვება, სხვა სურსათი კიდევ ეგრევე, და თუ არის, —გეშინიან დააფასებინო და ამიტომაც, ჩემი ოჯახის ყოველდღიურ სადილის პირველ, მეორე და მესამე თავს შეადგენს ცარიელა პური,—ხშირად გამხმარი და გაფიჩხული, რომლითაც ღრძილები გვაქვს გადაცვეთილი. აქნობამდე კიდევ რაღაც იმედი მქონდა დასაარსებლად გაზრახულ ქართ. კოოპერატიულ მაღაზია-—„მეურნისა", მაგრამ „მეურნის" მოთავენიც, ეხლანდელ ელექტრონის და ორთქლის ხანაში,—მეურმის ტაატით მოსიარულენი გამოდგნენ.

სამაგიეროთ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში სწავლა-აღზრდის საქმე „ნორმალურ" პირობებშია ჩაყენებული;]

საერთოთ იმის მეათედიც ვერ გითხარი, მკითხველო, რასაც ვაპირებდი, მაგრამ ვიცი „ჩემ შეჭედილ ხატის"—რედაქტორის ამბავი და ამიტომ გადავდებ შემდეგისათვის, მხოლოდ აქვე გაგიზიარებ ერთ ჩემ პირად თავგადასავალსაც და იმით გავათავებ. უპირველესად უნდა მოგახსენო, რომ ერთი ახირებული ზნე მჭირს: თუ რამე მაქვს სასყიდელი, ან საქმე გასაკეთებელი,—უეჭველად ქართველსავე უნდა მივმართო ხოლმე, იმიტომ რომ ვფიქრობ, ბარემლა ჩემიანსვე ვასარგებლო მეთქი. ამას წინედ ჩემი ერთი ახლო მეგობარი საშიში ავადმყოფი შეიქმნა. დილის მეათე საათი იქნებოდა. მე ინსტიქტიურად ქართველ ექიმთად გავიქეცი,—მე თქვენ გითხრა[illegible] თბილისში! პირველად [illegible] შვილის ბინას და თუმცა ბევრი ველრიჯე კარის კაცს, მაგრამ იმან გადაჭრით მითხრა, რომ ბ. ექიმი თორმეტ საათზე ადრე არც ოდეს ამდგარა და მანამდე ვერც გაუბედავთ შეწუხებასაო. მეტი რა გზა იყო, საჩქაროთ გამოვბრუნდი და იქვე ახლოს შეუხვიე ბ. კალანდარიშვილთან. ნახევარიოდე საათი ალაყაფის კარებთან მომიხდა ცდა, ამოდენივე ბინის კარებთან და შემდეგ, ექიმის მოახლემ რომ შეიტყო ავადმყოფი ცოტა მოშორებით სცხოვრობდა, მითხრა „ექიმი სახლში არა ბრძანდებაო". ვიფიქრე ბ. ივ. გომართელი დაუზარებელი კაცია მეთქი დ გავეშურე მისკენ. ოთახის კარები რომ შევაღე, შესვლა ველარ მოვახერხე ისე გაჭედილი იყო ავადმყოფებით. ბ. გომართლის მოახლესაც ბევრი ველრიჯე; ისიც კი მოვიხსენიე, რომ ექიმი პირადად ჩემი კარგი ნაცნობიც არის მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ:

— თქვენი „ოჩერი" „ვეჩერის" „პრიომზე" თუ მოახწევსო.

— მეტი რა გზაა, წავალ ვეტყვი საშიშ ავადმყოფს, რომ მანამდე ნუ მოკვდება მეთქი, გულმოსულად ვუპასუხე და გავეშურე ბ. მაღალაშვილთან. მოახლემ რომ გაიგო ჩემი გასაჭირი, შემეკითხა: „პოლიციის მოწმობა გაქვსო?"

— რის მოწმობა? იმასა, რომ ავადმყოფობა ნებადართულია მეთქი?—ვუპასუხე გესლიანად.

— არა, ვისაც პოლიციის მოთხოვნისამებრ მოწერილობა არა აქვს, ისრე არავისთან დაიარებაო.

ჩამოუარე ეგრეთვე ბინებს ექ. მიქელაძისა, საყვარელიძისა, ღოღობერიძისა, იოსელიანისა, ბალარჯიშვილისა და მრავალ სხვათა. მშიერ-მწყურვალეს დაღლილობისაგან იმდენად არაქათი გამომცლოდა, რომ, ბოლოს, საბებიო ინსტიტუტთან მუხლები ჩამკეცოდა გულწასულობისაგან. პოლიციელს შევეხვეწე და მაშინათვე ტელეფონით „სწრაფი კარეტა" გამოვძახა, საშიში ავადმყოფი ვგონებოდი. მაგრამ, მოგეხსენებათ „სისწრაფე" თბილისის სწრაფი კარეტისა: ვიდრე იგი მოვიდოდა, მე კიდევაც მოვსულიერდი, წამოვდექი და იძულებული ვიყავ უცხო ტომის ექიმი წამეყვანა.

ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი: „ქართველი კაცი ღმერთმა ცხენზედ ნუ შესვაო"!.. ჩვენებურმა ექიმებმაც ამ „ვაენობას" ცოტა არ იყოს ქონი მოიცხეს და...

**გ. ახ—ციხელი.**

## „საფუტკრეში"

**აკაკის ხსოვნის აღნიშვნა „განათლების" ქალთა სკოლაში.**

(გაკვრით)

როგორც მოსალოდნელი იყო, საზ. „განათლების" ქალთა სასწავლებელმაც ჯეროვანის პატივისცემით გაიხსენია დიდი ეროვნული მგოსნის გარდაცვალების წლის თავი და გასულ კვირას მოაწყო, სკოლისავე შენობაში აკაკის საღამო. საღამოზე მიპატიჟებული იყვნენ კულტურულ-საზოგადოებათა წარმომადგენელნი და საპატიო პირნი, რომელთა რაოდენობასაც ვერ იტევდა სკოლის დარბაზი. ერთ მხარეს მოეწყოთ სცენა ზოგი რამ დეკორაციებით.

ვუცქერდით სცენაზედაც მეტად მჭიდროდ მოთავსებულ ცოცხალ და ღია, სალი სახის მოზარდ თაობას და უნებლიედ ვფიქრობდით, დღესა თუ ხვალ ეს ცხოველმყოფელი ძალა თანდათან უფრო გაიზრდება, ღონეს მოიკრებს და გადალახავს ქართველ საზოგადოების უზრუნველობას და თამამად მოითხოვს ჯეროვან ყურადღება-თანაგრძნობას.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში შეგნებული ქართველი დედა,—ეს ერთი უმთავრესი ბურჯთაგანია, როგორც ოჯახურის, ეგრეთვე საზოგადოებრივ-ეროვნულ ცხოვრებისა,—სანთლით საძებარია. ესაა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანივე ჩვენი გადაგვარება-გადაშენებისა. ამ ავადმყოფურ მოვლენასთან ბრძოლა მიზნად დაუსახავთ საზოგადოებათ: თბილისის—„განათლების" და ქუთაისის—„სინათლისას"; ეს „განათლება-სინათლე" გვარიან უნარს იჩენენ სიბნელის დასათრგუნავად და ამ შეგნებულ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას, ვისაც მართლა სწამს ჩვენი მომავალი, ფხიზელის მზრუნველობით და საკუთის გრძნობით უნდა ეპყრობოდეს ამ მეტად სიმპატიურ დაწესებულებათ...

აღნიშნული საღამო შინაარსიანი გამოდგა. საღამოში პატარა მონაწილეთ საერთოდ საკმარისად დაახასიათეს აკაკის დიდი როლი ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში. პირველად, თვისივე რეფერატი წაიკითხა მეოთხე კლასი

მოწაფე ქალმა კანდელაკმა. მართალია ამ რეფერატისთვის ბევრი ადგილები იყო სხვა და სხვა წყაროებიდან ნასესხები და მის დამუშავებაში „მოზრდილის“ ხელიც სჩანდა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ამ მოსწავლე ქალიშვილს შეგნებულად შეესრულებინა თვისი მოვალეობა, რაშიაც ხელი შეეწყო ლიტერატურულ ენის საკმაო ცოდნას.

კითხვის დროს რეფერატში მოხსენებულ აკაკის ზოგიერთ საგულისხმიერო ლექსებს, ზეპირად ამბობდნენ სხვა და სხვა მოწაფეები. დრო და დრო მოსწავლეთავე გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა (თამარის დროშა“, „სამშობლო“, „რენო“ ẟ სხვ.) აკაკის მრავალ ლექსების წამკითხავთაგან აღსანიშნავი არიან მოსწავლენი: ზარიძე, მაღალაშვილი, ყიფშიძე, თ. პეტრიაშვილი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს კითხვის დროს გამოთქმას: მარტო დაზეპირება და ერთფეროვანად, წაკითხვა ღირსებათ არ ჩაითვლება.

ბოლო განყოფილებაში, ოთხი მოწაფისაგან, საყურადღებოდ წარმოდგენილი იქმნა მეორე მოქმედება „პატარა კახიდან“.

საღამოზე დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნებელი (რომელშიაც, სხვათა შორის იმყოფებოდა ქალაქის თავი ბ. ხატისოვი) დაიშალა საღამოს 8 საათზე.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მოწესრიგე მასწავლებელნი ქალნი თავიანთ განკარგულებას, ძალიან ხშირად, რუსულ ენაზე იძლეოდნენ და ამავე ენაზე, რა თქმა უნდა მიბაძვით, ბაასობდნენ მოწაფენიც ურთიერთ შორის... ჩვენი ინტელიგენცია ძველ სენს ისრე ადვილათ ვერ დააღწევს თავს...

**გი—ახ—ელი.**

# აჭარა

(ს. ხულო ზემო აჭარა)

23 იანვარს აქ მოხდა ადგილობრივ კოოპერატივის დამფუძნებელთა კრება. კრებას ხალხი საკმარისათ დაესწრო და დიდის აღტაცებით მიეგება ამ ფრიად საინტერესო და სასარგებლო საქმეს.

მცხოვრებლები დიდის ხალისით ეწერებოდენ წევრებათ და თავის ამხანაგებსაც ამავეს ურჩევდენ. ამ დღეს ჩაეწერა 75 და საწევრო ფულიც შემოიტანეს. დამსწრეთა რიცხვი მეტათ ბევრი იქნებოდა, რომ ამინდს არ შეეშალა ხელი (აქ ძალიან დიდი თოვლია და შორს სოფლებიდან მიმოსვლა შეწყვეტილია)

კრებამ აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

ამ ახალ საქმეში ადგილობრივი ინტელიგენცია დიდ ენერგიას იჩენს. თითქმის ყველანი წევრებათ ითვლებიან და რამე თანამდებობას ასრულებენ. ჩვენების წევრებად ჩაწერამ და მათმა მოქმედებამ ყველა აქ მცხოვრებლებზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მათ მოქმედების სურვილი გაუორკეცა.

ამბობენ: რაც კი ჩვენმა ძმა ქართველებმა დაიწყეს ჩვენთვის, ყოველივე კარგი გამოდგა და ამ საქმეში რადგან ისინი ღებულობენ მონაწილეობას, უსათუოდ კარგად წაიყვანებენო. ასეთია მათი შეხედულება ჩვენზედ და ჩვენც მოვალენი ვართ, რაც შეიძლება მეტი ენერგია გამოვიჩინოთ ამ საქმეში და ეს პირველი ნაბიჯი, რომელიც აჭარლებმა ჩვენთან ერთათ გადადგეს, შეუცდომელი და სასახელო ყოფილიყოს.

ამ ახლათ გახსნილ კოოპერატიულ სავაჭროს ბევრი სასარგებლო მხარეები აქვს: ერთ უმთავრეს მხარეთ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მცხოვრებლები გადარჩებიან იმ ვაჭრების ბატონობას, რომელთაც ადგილობრივ მცხოვრებლებთან არაფერი საერთო არ აქვთ და მზათ არიან უკანასკნელი სისხლის წვეთიც გამოაცალონ. მათ არ ჰყოფნის რომ ისინი მოსულან უცხო ქვეყნებიდან და ამ ხალხიდან შეუძენიათ სიმდიდრე და განცხრომაში ცხოვრობენ, ისინი ჯაშუშობასაც ეწევიან ამათ წინააღმდეგ მთავრობასთან. მათის მეოხებით არა ერთი და ორი აჭარელი იტანჯება ციხეებში.

დღესაც შეიძლება იმათ რამე ზომებს მიმართონ, რომ ამით რამე დაბრკოლება მოგვაყენონ, მაგრამ, დღეს ესეთი მათი მოქმედება ფუჭათ ჩაივლის, რადგან ამ კეთილ საქმეს თვით ხალხი უდგია სათავეში და ისინიც დარწმუნებულნი არიან ამ საქმის სიდიადეში. როდესაც ეს კოოპერატივი შესძლებს მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაშინ ყველა არა სასურველი ელემენტები აქედან აღიგვებიან და მცხოვრებლებიც თავისუფლათ ამოისუნთქავენ. რაც ძალიან მალე იქნება. ვუსურვებ ხელმძღვანელთ მეტს ენერგიას.

**გ. კაჭახიძე.**

# წერილი გორიდან

კვირას, 31 იანვარს გორის სამართველოს დარბაზში მოხდა წლიური **კრება ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გორის განყოფილებისა.** კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ნიკო შიუკაშვილმა.

პირველად წაკითხულ იქმნა წარსული წლის ანგარიში, რომელიც ჩვენ აღნიშნული გვქონდა ჩვენ გაზეთში. შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება მცირედი შენიშვნებით, რაზედაც პასუხი გასცა თავმჯდომარემ ზოგიერთა შენიშვნების აღიარებით, მხოლოდ ზოგიერთების გაქარწყლებით. აღვნიშნავთ სარევიზიო კომისიის შენიშვნებს. 1) ფულის ჩამოსართმევ კვიტანციების დანუმრვა, 2) ინვენტარის წიგნის აუცილებლობა, 3) შეძენილი საგნების ღირებულობის და ყიდვის დროს აღნუსხვა, 4) სამკითხველოს წიგნებით სარგებლობის ვადის მოგვარება, რათა ყველას შეეძლოს საჭირო წიგნით სარგებლობა, 5) სამკითხველო-ბიბლიოთეკის შევსება წიგნებით, 6) რაც შეიძლება მეტი წარმოდგენების და ლექციების მართვა საზოგადოების ნივთიერად გასაძლიერებლად.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მიმდინარე 1916 წლის ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა, რომელშიაც შედის

1) ნაშთი 1915 წლ. ა)

| | |
|---|---|
| ჩვეულებრივი თანხა | 213 მ.—64 კ. |
| ბ) ნ. ლომოურის ფონდი | 1052 მ.—05 კ. |
| **ს უ ლ.** | 1265 მ. 69 კ. |

**შემოსავალი:**

| | |
|---|---|
| 2) საწევრო გადასახადი | 300 მ. — კ. |
| 3) წარმოდგენებისაგან | 300 მ. — კ. |
| 4) ქალაქის მართველობიდ. | 450 მ. — კ. |
| 5) საზოგადო საკრებულ. | 150 მ. — კ. |
| 6) სხვა და სხვა შემოწირ. | 100 მ. — კ. |
| 7) ყულაბებიდან | 100 მ. — კ. |
| 8) თანხის სარგებელი | 50 მ. — კ. |
| **ს უ ლ,** | 2715 მ. 69 კ. |

**გასავალი:**

| | |
|---|---|
| 1) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შენახვა | 300 მან. |
| 2) მსახურს | 60 „ |
| 3) სახლის ქირა | 252 „ |
| 4) გაზეთების გამოწერა | 110 „ |
| 5) წიგნების შეძენა | 200 „ |
| 6) წიგნების დაკაზმა | 50 „ |
| 7) გათბობა | 25 „ |
| 8) 10% მთავარ გამგეობას | 30 „ |
| 9) წვრილმანი ხარჯი | 73 „ |
| 10) სკოლის შენახვა 4 თვე | 400 „ |
| **ს უ ლ** | 1500 მან. |

ამნაირად 1917წ. პირველ იანვრისთვის მიმდინარე 1916 წლის ნავარაუდევ წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დარჩება 1,215 მან. და 69 კაპ.

ნიკო ლომოურის სახელობაზედ განზრახულ სკოლის გახსნის შესახებ კრებას მოჰხსენდა, რომ სკოლა გაიხსნება მიმდინარე წლის პირველ ენკენისთვიდან, მხოლოდ რა ტიპისა იქნება ეს სკოლა ამაზედ გამგეობის წევრებში სხვა და სხვა აზრი ტრიალებს, ერთნი მომხრენი არიან ჩვეულებრივი წერა-კითხვის სკოლის გახსნისა, მხოლოდ მეორენი (უმრავლესობა) მოისურვებენ გახსნან სპეციალური სკოლა: სატეხნიკო, თუ სამეურნეო დარგით, რაზედაც კიდევ ითათბირებს საზოგადოების გამგეობა და შემდეგ საერთო კრებას მოახსენებს.

შემდეგ კრების მორიგ საკითხის—**დრამატიულ წრის დაარსების შესახებ** კრებას თავმჯდომარემ მოახსენა, რომ უკვე შესდგა ასეთი წრე, რომელიც შეუდგა საქმეს და პირველ წარმოდგენას გამართავს 6 თებერვალს.

ბოლოს ამოირჩიეს გამგეობის წევრის კანდიდატები. არჩეულ იქმნენ 1) ქართული ენის მაწავლებელი ბ. კ. არველაძე და ბ. ს. მაჭავარიანი.

კრებას მოხსენდა აგრეთვე სხვა და სხვა შემოწირულებანი ამ გვარად:

1) უცნობს შემოუწირავს 200 მან.

2) თ-დი ნ. თუმანიშვილი უსასყიდლოდ აძლევს საზოგადოების სამკითხველო - საზოგადოებას ელექტრონის სინათლეს.

3) კნ. ილ. დ. ერისთავისას ყულაბებით შეუგროვებია 65 მან. 29 კაპ.

4) ზ. დ. ქიტიაშვილმა ყულაბებით 63 მან.—გარდა ამისა ბ. ქიტიაშვილი ყოველნაირ დახმარებას უჩენს საზოგადოებას.

5) ი. დ. კვალიაშვილმა ყულაბით შეაგროვა 73 მან.

6) საზოგადო საკრებულომ შესწირა 150 მან.

7) ქალაქის სამართველომ 150 მან.

კრებამ დაადგინა ყველა შემომწირველთ მადლობა გამოუცხადოს წერილებით, რაც გამგეობის მიერ უკვე შესრულებულ ყოფილა. დამსწრე საზოგადოების მხრივ შეტანილ იქმნა შემდეგი კითხვები: თავად მ. დიასამიძის მიერ, რომ გორის წერა-კითხვის საზოგადოებამ თავს იდვას სოფლების წიგნებით დახმარება, უფრო კი სოფლის სკოლების მოსწავლეთა დახმარება საბავშო წიგნებით, რაც სასურველად იქმნა მიღებული.

დიდი კამათი გამოიწვია მეორე საკითხმა, რომელიც წამოაყენა ბ. დ. ონიაშვილმა. ეს შეეხებოდა გორის და გორის მაზრის ყველა საზოგადოებების კავშირს. ორატორმა სცნო საჭიროდ ყველა არსებული საზოგადოებების კავშირი აუცილებლად საერთო საქმის კეთების გასაუმჯობესებლად. მას გასცეს პასუხი რითიც მოახსენეს, რომ ყველა არსებულ საზოგადოებების (კულტურულის, რასაკვირველია) კავშირი მოუხერხებელიც არის და ურთიერთის დამღუპველიც, ვინაიდან ყველა საზოგადოებების მიზანი არ არის ერთი და მეტ წილად ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი. ამიტომ საჭიროდ სცნობენ მხოლოდ ისეთი კულტურული საზოგადოებების შეკავშირებას, რომელნიც ეროვნულ იდეის საფუძველზედ არიან აღმოცენებულნი. ერთი სიტყვით თავი იჩინა ორმა მიმართულებამ, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს, თუმცა ორივე ჯურის სოციალისტები მაინცა და მაინც ვერ შეჰგუებიან იმ ბოროტ აზრს, რომ ერთა სოლიდარობაზედ ლაპარაკს ადგილი არა აქვს ერთა ჭამიანობის დროს.

ამ რიგად დასელთა წინადადება იყო: ყველა არსებულ საზოგადოების კავშირი განურჩევლად ეროვნებისა. სოც.-ფედერალისტთა (ბ. ს. მ—ნი)— ყველა საზოგადოებების კავშირი მხოლოდ მაზრაში. ხოლო მესამე წინადადება ბ. ზ. ქიტიაშვილისა კონკრეტიულად ასეთი იყო: კავშირი მხოლოდ და მხოლოდ ისეთ საზოგადოებების, რომელთაც თავს დაჰფრიალებს ეროვნული დროშა.

კრებამ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი. ბ. თავმჯდომარემ სთხოვა სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარეს ბ. ონიაშვილს, რომ მათ მომავალ მორიგ წლიურ კრებაზედ შემოიტანონ განსახილველად ეს საკითხი.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 4 ს.

**ურბნელი.**

# ინგლისის ბლოკადა

„ნოვ. ვრემია“ განიხილავს გერმანეთის საზღვაო ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხს, იმ პირობებს, რომელშიაც ვილჰელმმა ჩააყენა იგი, რის გამოც გერმანეთი მშვიდობიან გზით მომავალში დაიპყრობს მთელს საზღვაო ასპარეზსაო. სხვათა შორის აი რას ამბობს ამის გამო: „თვალები არ უნდა ავიხვიოთ, ვითომც გერმანეთის სავაჭრო ფლოტი სრულიად ხელშეკრული იყოს და მოსპობა ელოდეს დღევანდელ ბლოკადის გამო. პირიქით, იგი ისეთს პირობებშია დღესა, რომ თამამად შეეძლება ბრძოლა გამოუცხადოს მოკავშირეთა ფლოტს, ოღონდ ზავი შეჰკრან, თუნდაც გერმანეთისათვის არა ხელსაყრელიც კი. თქმა არ უნდა, ინგლისის ფლოტი დღეს-დღეობით ზღვის უფალია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ინგლისი ამ უფლობას ფრიად ძვირად ყიდულობს. 1914 წ. მარიამობისთვიდან მოყოლებული 1915 წ. მარიამობისთვემდე გერმანეთმა მას დაუღუპა 339 სავაჭრო გემი, 949 ათას ტონა წყალრწყვისა. საფრანგეთმაც ამ ხნის განმავლობაში დაჰკარგა 105 ათასი ტონა წყალრწყვის სავაჭრო გემები. ორთავე მხარეს საზოგადოდ ერთ მილიონზე გაცილებით მეტ ტონა წყალრწყვის გემები დაეკარგა. მართალია, გერმანეთმაც იზარალა, 180 სავაჭრო გემი დაჰკარგა სულ 613 ათას ტონა წყალრწყვისა, ერთი ამდენიც ხელთ იგდეს და დაატყვევეს, მაგრამ 1915 წ. მარიამობისთვის აქეთ გერმანეთს აღარავითარი ზარალი არ მოსვლია, რადგანაც მათი ფლოტი ზღვაში აღარ გასულა, მაშინ როდესაც მოკავშირეებს ეღუპებოდათ და ეღუპებათ ძალიან ბლომად. მაშასადამე, თუ ომი გაგრძელდა, ზავის მოახლოვების დღეს მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტი გაცილებით სუსტი იქნება, ვიდრე გერმანეთისა. მაგრამ ამითი არ თავდება საქმე. ის გემები, რაც კი შერჩებათ ხელში მოკავშირეებს, სრულებით აღარაფრად ეღირებიან და აი რატომ: მთელს ომის განმავლობაში მოკავშირეთ მეტი ჯაფა ადგებათ ზღვაზე, ზღვის ოპერაციებზეა მიქცეული მთელი მათი ყურადღება. მთელი მათი სავაჭრო გემები მხოლოდ ამ ოპერაციებისთვის არის ამოძრავებული. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენი ეხარჯება ინგლისს კანადელ და ავსტრალიელ ჯართა გადასაყვან-გადმოსაყვანად? გალიპოლის ექსპედიცია, მთელი აქეთ-იქით გასაქან-გამოსაქანი ორგანიზაცია, აუარებელ ტვირთის გადატანა სალონიკში, კორფუზე, კორფუდან მაკედონიაში და სხვა და სხვა? მართალია, ჩვენ არ ვიცით, რამდენი დაჯდა ყველა ეს, მაგრამ თეორეტიულად თამამად შეიძლება ითქვას, რომ უსაზღვროა იგი, აუარება ოქრო ჯდება. ახლა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომის შემდგომაც ეს არა სამხედრო გემები კომერციას ვერ ემსახურებიან კარგა ხნის განმავლობაში. ჯართა სამშობლოში დაბრუნება, გადაზიდვა იარაღისა და ათასგვარი სურსათ-სამხედრო მასალისა არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტის მეტი ნაწილი ამას მოუნდება. მაგრამ არც ამითი თავდება საქმე: ომის გამო საფრანგეთიც და ინგლისიც იძულებული შეიქმნენ შეეწყვიტათ ახალი სავაჭრო გემების აგება. რაც არის, ამ გემთა გაცვეთა კი აუცილებელია, ვინაიდან თვითეული მათგანი ნორმალ პირობებზე გაცილებით ინტენსიურად მუშაობს, ურემონტოდ, შეუკეთებლივ, მანქანების მოშლით, რაიც არას დროს არ უნახავს მეზღვაურებს ომამდე. ამ სამწუხარო სურათის წინააღმდეგ სხვა სანახაობას ვხედავთ გერმანეთის მხრით: გერმანელთა სავაჭრო გემები არხეინად დგანან მათსა თუ ნეიტრალ სახელმწიფოთა ნავთსადგურებში. ზღვით გერმანეთს ჯერ არ მოხდომია ჯართა გადაყვან-გადმოყვანა. მაშასადამე, საკმარისია ზავზე ხელი მოაწეროს გერმანეთმა, რომ ეს გემები მთელი თვისი ძალღონით, ახალი სახით, გამოიშალონ და მშიერ მგლებსავით მოედვნენ სავაჭრო ბაზრებს. იგინი სულ მოკლე ხანში აინაზღაურებენ დანაკარგს. ამიტომაა, რომ ინგლისელთა სპეციალისტები წინასწარვე განსჭვრეტენ იმ უბედურებას, რაიც მოელით მომავალში სამაგიეროს გადახდა ისეთი საშინელება რამ იქნება გერმანეთის მხრით, მოკავშირეთა საზღვაო ვაჭრობას იმდენად დასცემენ და გაანადგურებენ, რომ მას აღარავითარი კონტრიბუცია აღარ შეედრებაო“...

დასასრულს „ნოვ. ვრემია“ მოუწოდებს, საჭიროა, გერმანეთი მთლად განადგურდეს, რომ ეს მართლა ასე არ მოხდესო.

# დაბა-სოფლები

**ს. უკანეთი** (ქუთაისის მაზრა) 31 იანვარს ჩვენი მთის არწივის დიდებული **ვაჟას** გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ადგილობრივ ეკლესიაში, მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. დღესასწაულის გამო წირვა-პანაშვიდს დიდ ძალი მდაბიო ხალხი დაესწრო. იყვნენ გარეშე სოფლებიდანაც. უკანეთის სამინისტრო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლის ბ—ნ ნუცუბიძის და სტუდენტის გრიშა დეისაძის ლოტბარობით, მწყობრათ იგალობეს. როგორც წირვაზე აგრეთვე პანაშვიდზედაც მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიდებული ვაჟას მოღვაწეობა და ვინაობა. სოფლელები სულითა და გულით მოწადინებული არიან გაიცნონ ჩვენი მრავალ ტანჯული მგოსნები და მწერლები, მაგრამ პატრონი არ ჰყავსთ. საჭიროა ამ საქმეში სოფლის ინტელიგენციამ მეტი ფხა და უნარი გამოიჩინოს.

**აქაური.**

# რუსეთი

ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრი იტყობინება, რომ ვარშავის პოლიტეხნიკუმიდან სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადმოსვლის მსურველთა თხოვნების მიღება შეწყვეტილია. აქამდე სულ გადასულა 150 ბოლო კურსების მსმენელი. პირველ კურსების მსმენელნი კი მოსკოვის სასწავლებელში დარჩებიან.

— მიტროპოლიტი პიტირიმი პეტროგრადისა და კიევის სასულიერო აკადემიებს თავის საპატიო წევრად აურჩევიათ. უწმ. სინოდმა ეს არჩევა დაამტკიცა.

# მცირე განმარტება

(წ. რ. მ.)

„საქართველოს“ მე-14 ნომერში მოთავსებულ „ქუთათურის“ წერილის გამო საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი შენიშვნა მოვახსენო მკითხველ საზოგადოებას:

ამ წერილში, სხვათა შორის, ავტორი ამბობს, თითქო ზოგიერთ ხმოსანს ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრათ არჩეული ს. წერეთლისათვის თეთრი კენჭი იმიტომ მიეცეს, რომ საახნაურო გიმნაზიის გულშემატკივართ მის მაგიერ უკეთესი მასწავლებელი მოეწვიათ.

ხმოსანთა შორის თუ ვინმე იყო ასეთი გულშემატკივარი, ეს უთუოდ მასწავლებელი ხმოსნები იქნებოდენ, მაგრამ აქ სამი რამე არის გამოსაცნობი:

1) მისცეს კი თეთრი მასწ. ხმოსნებმა ბ. ს. წერეთელს? ეგ ხომ საიდუმლოა ყველასათვის.

2) რატომ ფიქრობს ბ-ნი ქუთათური, რომ წერეთლის მომხრე ხმოსნებმა გიმნაზიის პატივისცემით უღალატეს მოქალაქობის წმინდა მოვალეობას და მთელი ქალაქის ინტერესი გიმნაზიის ინტერესზე დაბლა დააყენეს.

3) სად იყო ეს სანთლით მოძებნილი კანდიდატი, რომლისათვისაც ს. წერეთლის ადგილი მზადდებოდა?

ყოველ შემთხვევაში ჩემი მოვალეობაა, როგორც სასწავლებლის გამგისა განვაცხადო, რომ ის ხმოსნები, რომელნიც გიმნაზიასთან დაახლოვებულნი არიან, თუ მართლა მათ ს. წერეთელს თეთრი მისცეს, მისცემდნენ არა იმისთვის, რომ წერილის ადგილი სხვისთვის მოემარაგებიათ, არამედ იმიტომ, რომ მას იცნობენ, როგორც გულწრფელ, პატიოსანს და დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანს და იმისთანა მასწავლებელს, რომელსაც სიყვარული და პატივისცემა აქვს დამსახურებული როგორც მასწავლებელთა ისე მოსწავლეთა შორის.

ქუთაისის საახნაურო ქართული გიმნაზიის გამგე **ი. ოცხელი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მი-მოსვლის [illegible]

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . | 8.53 | სად. |
| „ | საფ. „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . | 10.20 | სად. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . | 9.30 | სად. |
| „ | სამგ. „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . | 7.41 | სად. |
| „ | სამგ. „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 „ | 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 | „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. | 4 „ | 31 | „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 | „ | „ |

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში ẟ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი

ღია ხელის მოწერა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი 22, ტელეფონი 6—23.

[illegible]

თევზის მრეწველნი

ძმ. მეჯველოვები

პუშკინის ქუჩა, სახლ. ხაზ. № 9, ტელეფონი № 712.

მაღაზიები ავლაბარში

კახეთის ქუჩა, სახლი, № 6, ტელეფონი № 712

[illegible]